

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება



GEORGIAN BEEKEEPERS UNION

დინდგელი (პროპოლისი)



საქართველოს მდიდარი ფლორა, მინდვრის და მთის თაფლოვანი მცენარეების მრავალფეროვნება განაპირობებს კავკასიური რუხი ფუტკრის მიერ შეგროვებული და გადამუშავებული პროდუქტების მაღალ ხარისხს. ეს უნიკალურობა განასხვავებს საქართველოს მეფუტკრეების მიერ წარმოებულ ფუტკრის პროდუქტებს სხვა ქვეყნებში წარმოებული იგივე პროდუქტებისაგან.

ფუტკრის მიერ შეგროვებულ და გადამუშავებულ პროდუქტებს შორის ერთ-ერთია დინდგელი (პროპოლისი). მისი ხარისხი დამოკიდებულია იმ მცენარეთა ბოტანიკურ მახასიათებლებზე, რომლითაც სარგებლობენ ფუტკრები.

როგორია დინდგელი გარეგნულად?

დინდგელი მომწვანო-მოყვითალო ან მუქი ყავისფერია, ზოგჯერ მუქი მოწითალო. შეფერილობა დამოკიდებულია იმ მცენარეებზე, რომლებსაც სტუმრობდა ფუტკარი. მას დაჰყარავს სპეციფიკური სუნი. დინდგელი 15C-ზე ქვემოთ მკვრივია, უარყოფით ტემპერატურაზე მყიფე და მსხვრევადია, ხოლო 30C-ზე ზემოთ რბილი და წებოვანი ხდება.

რა ნივთიერებისგან შედგება?

დინდგელის ძირითად შემადგენლობაში შედის ეთერზეთები, ამინომჟავები, ორგანული მჟავები, პოლისაქარიდები, მცენარეული ფისები, მცენარეული ფენოლები, ანტიბიოტიკური ნივთიერებები, მიკროელემენტები, ვიტამინები - B1, B2, B6, PP, E, მინერალური მარილები, გლიკოზიდები, მთრიმლავი ნივთიერებები, ცვლილი და სხვა. როგორ წარმოქმნიან ფუტკრები დინდგელს?



როგორ გამოიყენება?

დინდგელში არსებული ანტიმიკრობული ნივთიერებები თერმომდგრადია, 3-4 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ანტიმიკრობულ აქტივობას. იგი ძნელად იხსნება წყალში, სპირტში - უკეთესად. დინდგელს იყენებენ როგორც სახალხო, ისე კლასიკურ მედიცინაში. გამოიყენება წყლის და სპირტის ექსტრაქტები, ზეთიანი ემულსიები, მალამოები და ფუტკრის სხვა პროდუქტებთან ერთად დამზადებული საკვები დანამატები.

ფუტკრები დინდგელს იყენებენ სკის სადებინფექციოდ. საფრენთან ქმნიან დებობარიერს, რათა მინდვრიდან დაბრუნებულმა ფუტკრებმა ფეხები დაისუფთაონ. ისინი სკაში გაჩენილ ღრიჭოებს ლესავენ, რათა სკაში იყოს მათთვის სასურველი მიკროკლიმატი. დინდგელს ასევე იყენებენ სკაში მოხვედრილი მწერების და მღრღნელების დასაბალზამებლად და გადასალესად.

როგორია მისი თვისებები?

დინდგელს ახასიათებს ანტიმიკრობული, ანტიბაქტერიული, ანტივირუსული, სოკოს საწინააღმდეგო, ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობის შესაბოორცებელი, ფაღარათის საწინააღმდეგო, ქავილის დამაწყნარებელი, ანტირაღიაციული, ანტიტოქსიკური, ანტიოქსიდანტური თვისებები. იგი ხელს უშლის ადამიანის ორგანიზმის შინაგანი ცხიმების ჟანგვას, რაც მნიშვნელოვანია სიბერის პროფილაქტიკისათვის. აწყნარებს ნერვულ სისტემას, აუმჯობესებს ძილს, ხსნის სისუსტეს და კუნთების სპაზმს. ამცირებს არტერიულ წნევას, ასტიმულირებს ნივთიერებათა ცვლას, ორგანიზმიდან გამოაქვს ქოლესტერინი, აქვეითებს სისხლის შედედების უნარს, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნას, აუმჯობესებს საჭმლის მომნელებელი ორგანოების მიკროგარემოს.

დინდგელს 15 დღეზე მეტი ხნის ფუტკრები აგროვებენ როგორც ხეების კვირტებიდან გამოყოფილი ფისოვანი ნივთიერებებისგან, ასევე ყვავილის მტვრისგანაც. ისინი კარგად ითვისებენ ცილებს, ცხიმებს და ნახშირწყლებს, მაგრამ ყვავილის მტვრის მარცვლების გარსს ვერ ამუშავებენ, მასზე გადაკრული წებოვანი ნივთიერების გამო. ამიტომ ფუტკრები ამ მასას კუჭში გადასვლამდე ჩიჩახვიდან უკან აბრუნებენ პირის ღრუში, უმატებენ საწერწყვე ჭირკვლებიდან გამოყოფილ სეკრეტს და კარგად ამუშავებენ. ასე მიიღება დინდგელი (ბერძ სიტყვა - propolis ამოღესვას ნიშნავს). რისთვის იყენებენ ფუტკრები დინდგელს?



პროკოლისის ჯანმრთელობისათვის გამოსაყენებადი საშუალებები

სასარგებლო ჯანმრთელობისათვის	პროკოლისის თვისება	განკუთვნილია	ავტორი
კუჭ-ნაწლავის ტრაქტისათვის	ანტიპარაზიტული, წყლულების საწინააღმდეგო	ადამიანი ცხოველი	Freitas et al. 2006 Paulino et al. 2015
გინეკოლოგიური დახმარება	სოკოს საწინააღმდეგო სოკოს საწინააღმდეგო საფენი	ადამიანი ადამიანი	Imhof et al. 2005 Capoci et al. 2015
პირის ღრუს ჯანმრთელობისათვის	ანტიბაქტერიული ყოველდღიური საფენი სადიზენფექციოდ კბილის პასტის კბილის პასტა ღრძილების ანთების საწინააღმდეგოდ პირის ღრუს თერაპიული აგენტი	ლაბორატორია ადამიანი ლაბორატორია ადამიანი ადამიანი	Pereira et al. 2011 Jain et al. 2014 Bertolini et al. 2012 Skaba et al. 2013 Pereira et al. 2011
ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა	სარძევე ჭირკვლების კიბო მელანომა ფილტვების კიბო	ადამიანი ცხოველი ადამიანი	Xuan et al. 2014 Benguedouar et al. 2015 Demir et al. 2016
დერმატოლოგიური დახმარება	არასრულწლოვანთა აკნე (პრიშივკები) კოლაგენის მეტაბოლიზმი ღიაბეტიდ ღროს ქვემო კიდურების კანის ტროფიკული წყლული	ადამიანი ცხოველი ადამიანი	Ali et al. 2015 Olczyk et al. 2014 Henshaw etal. 2014

მასალა მომზადებულია ლალი სუხიტაშვილის მიერ

კახეთის მეფუტკრეთა ასოციაცია / საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანება
+995 568 320 460 / geobeekeepers@gmail.com / WWW.GEOBEEKEEPERS.GE